ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3837517

ნომერი: AR1572229

თარიღი : 25.01.2018

გაცემის თარიღი : 22.02.2018

გაცნობის თარიღი : 24.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პეტრე ტრაპაიძე პ/ნ 01031003591
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 20 ბ. 47

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
1 სამსახურს შშმ პირთა პანდუსის მოწყობით ავტოსადგომის გაუქმება შესაძლებლად არ მიაჩნია, შესაძლებელია გამონახოთ სხვა ალტერნატიული ვარიანტი და დაიცვათ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის # 41 დადგენილებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები;
თქვენს მიერ ატვირთულ #3 და #4 ფოტომონტაჟზე ასახული სამუშაოები ვერ განიხილება I კლასის კუთხით, შესაბამისად საჭიროა აღნიშნული ამორებულ იქნას დოკუმენტაციიდან.
2 წარმოადგინეთ სამსახურის მიერ 05.04.2016 წლის №2501354 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა სრულად , საკადასტრო საზღვრების დატანით და მონიშნეთ საპტორქტო ადგილები კონტურის სახით, ასევე გეგმაზე დაიტანეთ სარეკონსტრუქციო ნაწილები, დეტალურად გაბარიტული ზომების მითითებით.
3 საჭიროა წარმოადგინოთ კონკრეტული სარეკონსტრუქციო ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ შესაბამისი დოკუმენტაცია.
4 ვინაიდან საპროექტო კიბის საფეხურების მოწყობა ხდება საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.